

F 24
1888



სამეატრო

საქოველ კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 18

ბარის 29.

გაზეთი ღირს: ერთი წლ. 5 მ., ხას. წლ. 3 მ., ცალკე ნომ 15 მ.
სელის მოწერა მიიღება: თბილისში, რედაქ. კანტორაში. ფოთში
ბესარ. კალანდაქსთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის:
Тифлисъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება:
თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; და ბ-ნ ხიდდეველთან—გო-
ლოვინის პროსპექტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენცია) გარკვევით
უნდა იყოს დაწერილი. თუ საქიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია
შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და
მათ შესახებ მიწერ-მოწერას.
ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-
ცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

69


გარეთ-ქოვილის ფიქრი და შემოხვნა.

(გაზ. „ივერია“ № 100 1888 წ.)

I

დიდი ხანია თურქე, რბრ ერთი ქართველი კაცი თავის კარგმა
თუ აქმა ბედმა მოაშურა თავას სამშობლოს და შორს გააქცა.
დღეს ეს ქართველი ისევ დაბრუნებულია ჩვენში და იმის მაგიერ
რომ გვიამბოს შორეულს ქვეყნებში ნასმენ-ნახასი, მოგვითხრობს
იმას, თუ რა ჩაბუჭდილება მოასდანა მასე ჩვენმა ქვეყანამ. ეს მო-
თხრობა ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან უნ-
და ვითვქროთ, რომ გუშინდელი მოსული კაცი უფრო კარგად
გამოიკვლევდა ჩვენს ვითარებას, ვიდრე აქ დაბადებული, სწავლილი
და მოხუცებული.

ბ. ნ. გ — ლი რომ გამოტყობა ჩვენს ქვეყანას, მასინ თურქე
ჩვენში ვარტი დროც უთუვალა და კარგს თამაზსაც უძიუნია, სსკა-
ფრავ თუ არა, ახრით მანს. ეს თამაზ, რომელსც „ივერ-დაღე-



ულებს ექსდენ“ მით ყოფილა შესანიშნავი, რომ მისი მიმართულებას დაჩნეული ქქონის რუსეთის „ერთგვარ“ განათლებულის საზოგადოების „წამდვილი“ გავლენის ბეჭედა. თერგ-დალეულები, გარეთ ყოფილის სიტყვით, ავრცელებდენ ჩვენს ბნელს ქვეყანაში იმ დროს და პატიოსანს აზრებს, რომლებიც შეადგენდენ უხვს ნაყოფს რუსეთის განათლებულის საზოგადოების ჭკუისას. ბ. ნ. გ—ის ასახვს ის საშინელი ომი, რომელიც თერგ-დალეულებს აუტყნიათ ხალხსა და საზოგადოებაში; დასწრებია იმ დროსაც, როცა, საშინელის ბრძოლის შემდეგ, მამათა და შვილთა შორის, თერგ-დალეული ომიდგან გამარჯვებული გამოსულა. მაშინ თურმე იმას ჟერ კიდევ ერძას, ზურგი მიუბრუნებია თავის საუკარელის დედამისათვის და თერგ-დალეულების მომხრე და მიმხატავი გამხდარა.

თუმიცა თერგ-დალეულები არ ყოფილან არც ძალიან უზარმაზარის ჭკუის პატრონები, არც მეტის მეტად განათლებული კაცები, მაგრამ ძლიერნი და გამარჯვებულნი იმიტომ გამოსულან, რომ იმ დროს ნათელი აზრები მართლა შეუთვისებიათ და გაუხორციელებიათ. ამ აზრებით შეჭურვილს თერგ-დალეულებს დაუარსებიათ „მოახრეთა ძმთა ვიწრო წიკ“, რომელსაც მისთვის (გარეთ-ყოფილისთვის, რა თქმა უნდა) გონება გაუხსნია, ჭკუა და სხე გაუწმენდია, გაუთაქიზებია და ხასიათი გაუმტკიცებია

ამნიარად გონება-გახსნილს, სხე-ჭკუა-გაწმენდილის და ხასიათი გამტკიცებულს სამშობლო იმ იმედით დაუტოებია, რომ ახალი თაობა გადააჭარბებდა თერგ-დალეულებს ყოველის მხრით.

მაგრამ ვაებაც ის არის, რომ იმედი გამტყუნებია თერგ-დალეულების გაზდილს.

ახლა მგზავრად მოსული განცვიფრებით უეურებს ადრინდელს თერგ-დალეულებს და იმათ ნაყოფს—ამ ყამის ახალს თაობას. თერგ-დალეულებში კვლავ პოულობს ადრინდელს ნათელს დედა-აზრსა, თუმიცა დაკვირვების შემდეგ მათ ნაღვლიანს სახსრე უცვნია, რომ გუღმა მანერ კიდევ ადრინდელი გამძლიერებული ტუნსლის ნაკვერნსალი უღვიკათ. იმათ ნათელი, დინჯი, ტკბილი და დაღვებული ღაზარავი ყოველს ჩვენის ქვეყნის დარდას და ვარამზე გარეთ-ყოფილს უტკიცებს, რომ მით არ შეუძლიან იქონიონ არავითარი კავშირი თანამედროვე ფანა-ფუტა ახალს თაობასთან.

ეს „ფანჯა ფურცა“ ახალი თაობაა თურმე, რაც არის! ამ ახალს თაობას თურმე ვერ გამოუჩენია შნო ვერც სწავლა-განათლებლა, ვერც სწავლათსა, ვერც პატიოსნობასა და ვერც ჭკვიანს წერასა და ლაპარაკში. აზრისთვის თავი დაუხეობები და გამოხდგომია პაწაწკინა საქმეებს. თურმე მას არავითარი საზოგადო დედა-აზრი არა აქვს.

გარეთ-ყოფილისათვის თურმე ძალიან საცოდავი და გულსაკლავი სანახავია ჩვენი ახალი თაობა. ჯერ მარტო მათი შესუდულობა უკლავს გულს: იმათ სასეზე თურმე არ არის გამოხატული არც ძმობის, მეგობრობის და ამხანაგობის გრძობა, არც საზოგადო საქმისადმი გულმწურვალება. გულგრილობა და გულჭკაობა იმათის შუბლის ბეჭედაა თურმე. მაგრამ ეს სულ არაფერი იმ სასწაულებრივს მოკლენასთან, რომელიც ბ. ნ. გ.—ს შეუნიშნავს. თურმე ახლის თაობის უმეტესი ნაწილი მუნჯებს ემგზავსება, თითქო შირში ბურთი ჩაუხრიათო (მშვენიერი თქმავ: თითქო შირში ბურთი ჩაუხრიათო), მაგრამ თუ ერთი როგორმე შირი გააღეს „ან ერთს საშინლად დაამოქნარებენ, გეგონება ეს-ეს არის ჩამუღაშავსო, ან არა და გააბამს ერთს სატანჯავს ბლიამურს ლაპარაკს, რომლისგანაც ვერც ჭკუისა და ვერც გულის მოსასხვედრსა და სასარგებლოს ვერას გამოიტან.“

გარეთ-ყოფილი საშინელის გულმწურვალებით მოგვიტოსრობს ახლის თაობის დაცემულობას, დადავარდილობას. თანაუგრძობს თერგ-დალეულებს და ნატრულბებს ახლად გამოჩენას ახლის თერგ-დალეულებისას. ჩვენც გაუზიარებოთ მკითხველებს ეველ ამ ბრალს, რომელსაც ბ. ნ. გ.—ლი სდებს ჩვენს ახალს თაობას. ვნახოთ, რამდენად ბრალისია ეს, მართლა რომ საბრალთა, ახალი თაობა.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბები

როგორც მე-16 გვერდზე დაბეჭდილი განცხადებიდამ სჩანს, ჩვენი პატივცემული არტიისტი-ქალი მ. ლეონიძისა სამუდამოდ სტოგებს სტენას.

მ. მ. ლეონიძისა (მინაროვისა) თითქმის რვა წელიწადი ემ-

სასურს სცენას და ამ რვა წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა. ყოველს სცენაზე მოღვაწეს არტისტ-ქალს და არტისტ-კაცს შეეკლო მაგალითად აელა მ. მ. ლენინძის დაუღალავი შრომა და მიუბაძნა მისთვის. საზოგადოდ იშუიათი მეცადინეობა და სინიდიციურად აღსრულება მოვალეობისა საზოგადოების წინაშე — დასაფასებელია და იმედია, რომ საზოგადოება არ დასტოვებს შემთხვევას და დაესწრება ამ, სცენისათვის ძვირფასის პირის, უკანასკნელ, გამოსათხოვ ბენეფისზე.

ამ უმად „იერუსალიმის“ ქუჩის ქვეშ გაჭყვით არხი. კარგი იქნებოდა, რომ ქალაქის მმართველობამ არც აუკვალის ქუჩის მცხოვრებლების თხოვნა და სამართლიანი ჩივილი დააგდოს უყურადღებოდ. ჩვენის აზრით აუკვალის ქუჩას უფრო უჭირს არხი, ვიდრე „იერუსალიმის“ ქუჩას.

წარსულს ორშაბათს იყო დანიშნული წარმოსადგენად ქართული თეატრის „ყარამანი.“ ბილეთები სრულიად გაიყიდა წინა დღესვე, გარდა ორიოდ რიგისა პარტერში. ხალხი მოუთმენდად ელოდებოდა ფარდის ასდას. დანიშნულ ვადაზე ფარდაც აისადა. ჩამოუშვეს ზევიდამ ყარამანი და უცებ... თეატრში დანიღდა. ჩვენს გგონია, რომ ეს მოხდა ყარამანის შიშით, ზოგნი კი ამ ამბავს აბრალებენ „ბლანშოს და კომპ.“ თუ ეს ბლანშოს ბრალია, — უსაროდეს: ამის შემდეგ ქუჩებსაც ბლანშოს განათებინებენ თავის ელექტრონი!!!

ყარამანი ოთხშაბათს წარმოსადგინეს. ამ წარმოდგენამ გვაჩვენა, რომ თეატრის წარმოდგენა მსკლია და დამღველი გამოცდილია უნდა იყოს. იმედია რომ შემდეგ უკეთესად გაივლის.

ხუთშაბათს ბ-ნი ფორკატომ გაათავა საზაფხულს სეზონი და რუსეთისაკენ მიემგზავრება.

ბ-ნი გ. ჰატვანავის წიგნაკი, „Ванскія надписи, и значеніе ихъ для исторіи передней азіи,“ გადმოგვუწვდილი

საერთო განათლების სამინისტროს ეურნალიდამ შეიტავს 74 გპერდს და ღირს ერთი მანეთი.

მეორე ასეთივე წიგნავი ამავე ავტორისა, დაბეჭდილი ზეტერ-ბურგში 167 გპერდზე ღირს 1 მ. 50 კ.

ამის შემდეგ კიდევ იტყვიან, რომ ასლად გამოცემული „გეოგნის ტეაოსანი“, „ქილილა და დამანა“ და სსკ.—ძვირიაო.

დღეს, კვირას, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ქართული ფეერია „ყარამანი.“ ამ წარმოდგენის დროს დაუკრავს მუსიკა ბ-ნი ბალანიაძისაგან შედგენილ „პოპურში“-ს.

წარსულ წლებში აქაურ სასწავლებლებში სწავლას დაიწყოდა სოლოე 1 სექტემბერს. ამ წელს კი, როგორც გავიკეთ, სწავლას დაიწყო 24 აგვისტოდამ.

შემდეგი საინტერესო სტატისტიკური ცნობები არის დაბეჭდილი „Истор. Вѣст.“-ში: 1887 წ. რუსეთში, ფინლიანდიის გარდა, დაბეჭდილა 7366 თხზულება. ეს თხზულებები 24,403,242 კგზემზლიარად დაბეჭდილა. ამ რიცხვში მარტო რუსულ ენაზეა 5442 თხზულება,—18,540,390 ცალი; უცხო ენებზე—1924 თხზულება—5,862,852 კგზემზლ.

ზუსტინის თხზულებები 163 ჟერ დაუბეჭდათ და შარშანვე 1481375 კგზემზ. გაუადულა. გრ. ტოლსტოის თხზულებებისა 677.600 ცალი გაუადულა, ლერმონტოვისა 15 ათასი, გოგოლისა—40 ათასი, ტურგენევისა—16 ათასი, კრილოვისა—50 ათასი, გრიგოროვიჩისა და გრიბოედოვისა ათ-ათი ათასი ცალი.

გრ. ტოლსტოის თხზულება „Власть тьмы“ 93,600 კგზემზლიარად დაუბეჭდათ და შარშანვე სულ გაუადულა.

არტისტების სოლჰრობა.

ფრანგულიდან ნათარგმნი. მოთხრობა ალფონს დოდესი.

(დასასრული).

მხადი იყო, რომ ქმარი იქესა და შურს შეეპყრა. იმისი იქვიანობა არა ჰგებდა მოტრფიალის იქვიანობას, რომელსაც უნდა, რომ მისი ლამაზი ცოლი მართო იმისთვის ცოცხლობდეს; არა, ქმარი იქვიანობდა ისე, როგორც არტიტი იქვიანობს. მისი იქვი იყო ყინულივით ცივი, მკაცრი და დაუნდობელი. ხანდისხან, როცა ცოლი დათავებდა სიმღერის რომელსამე მუხლს, დარბაზში ასტყდებოდა განუწყვეტელი ტაშის კვრა და ბრავოს ძახილი, ამ დროს ქმარი იდგა თავზარ-დაცემულივით, გაშეშებული, გონება დაფანტული, გაგაქვავებული. იმისი სახე თითქოს ეუბნებოდა მაყურებელსა: „როცა თქვენ ინებებთ და დაასრულებთ ტაშის კვრას, სჩანს, მე მხოლოდ მაშინ უნდა დაეწყო სიმღერაო.“

ღიან!.. შეუძლებელია გულ-ცივად და გულ-მაგრად დაუხვდეს კაცი იმ ბრავოს ძახილს, იმ ტაშის კვრას, რომელიც ერთის თვალის დახამხამებაზე სეტყვასა და ხშირ წვიმასავით დაუშენს ხოლმე და, შესწყდება თუ არა, მის ხმას არტიტისთვის ტკბილსა და მეტად სასიამოვნო ბანს აძლევს დეკორაციები, თეატრის დარბაზი და კულისები. ღიდი და ქეშმარიტი არტიტები არ იხორციებიან არც ავთიმყოფობისა, არც სიბერისა და მოხუცებულობისაგან. ღიდის არტიტის სიცოცხლეს ბოლო ედება მხოლოდ მაშინ, როცა ტაში დაუძვირდება და საზოგადოების თანაგრძნობა მოაკლდება. საცოდავს არტიტს საზოგადოების გულ-გრილობამ სასოება წარუკვეთა, საშინელს განწირულებას მისცა. ამის გამო მეტათ ჩამოხმა, ზაფრა მორეულივით სიანჩხლე დასჩემდა და მუდამ კაპასობდა. ძალა უნებურად დაჰმორჩილდა თავის უბედურ სვესა და ერთად ერთ ნუგეშად ისლა დაჰჩინოდა რომ ყოველთვის, სცენაზე გამოსვლის წინად, ეთქვა ხოლმე;

„ნეტა რა მაცეცხლებს, ეს ხომ ჩემი ცოლია! მე ხომ მიყვარს!...“

მაგრამ ყალბსა და გადაგვარებულ სათეატრო ცხოვრებაში ჭეშმარიტი და ნამდვილი გრძნობა თავს ვერ იჭერს და სწრაფად ჰქრება. მართალია, თავისი ცოლი ჯერ-ჯერობით კიდევ უყვარდა, მაგრამ უყვარდა როგორც ქალი და არა როგორც მომღერალი. როგორც მომღერალი, უყვარდა კი არა, სძაგდა კიდევაც. ძალი კარგად ჰგრძნობდა ამას და ისეთის ზრუნვით ადევნებდა თვალ-ყურს ქმრის უცნაურ სენს, როგორც ეჭიმი ავით-მყოფობას. პირველად ქალი ცდილობდა, რომ დიდი წარმატება არ გამოეჩინა, სულითა და გულით არ ემღერნა, ეშხში არ შესულიყო, მაგრამ გამოვიდოდა თუ არა სცენაზე, მისი განზრახვა სრულიად გაუქმდებოდა ხოლმე. შმარსაც ასე მოსდიოდა: შური და ძულეება სცენაზე გაუძლიერდებოდა ხოლმე. ცოლს კი ნიჭი არ ემორჩილებოდა და მისდა უნებურად იჩენდა თავს. ამის გამო სხვათრივ ცდილობდა მოეგო ქმრის გული. შკოდნელობასა და გამოუცდელიობაში სდებდა თავსა და ქმარს ეკითხებოდა რჩევას: რას იტყვი, კარგად ვიმღერე, თუ არა? ისე ავასრულე როლი, როგორც რიგია, თუ არაო?..

სხადია, რომ ქმარი არაფერს არ უწონებდა ცოლს; გულ-კეთილი კაცის სახეს მიიღებდა და იმ ტყუილის მეგობრობის კილოთი დაუწყებდა ხოლმე ლაპარაკს, რომელსაც ასე ხშირად ხმარობენ ერთმანეთში დიდი არტისტები. „ჩემო კარგოვო,“ ეტყოდა ხოლმე ქმარი ცოლს, მაშინ როცა უფრო კარგად მოუვიდოდა სიმღერის თქმა — „შენ ბეჯითობას მოუმატე... ხაქმე კარგად არ მიდის.— წარმატება და უკეთესობა არ გეტყობაო...“

ხან-და-ხან სცენაზედ გამოსვლასაც კი დაუშლიდა ხოლმე: „გაუფთხილდი, გადაჭარბებული არა ვარგა რა, ნუ გაიფუტებ შემდეგისთვის ხმასა, დაეთხოვე ცოტას ხანს და შეისვენე.“ ხან სრულიად ტყუილ მიზეზებს მოუდებდა ხოლმე: „დღეს სურდო გჭირს, ხმა არა გაქვსო.“ ან კიდევ

უნეყო არტისტივით ასეთს საბაბს მოიგონებდა: „ორ ხმად საგალობელი განძრახ აღრე დაიწყე და გამიფუჟე გლობოა.“

საცოდავი ქმარი! იმას არ ეყურებოდა, რომ თავად უფრო იყო დამნაშავე და ცოლს ტყუილად სდებდა ბრალსა: თავად განგებ აწყვეტინებდა სათქმელს და არ ათავებინებდა სიმღერას იმ განზრახვით, რომ იქნება ტაში აღარ დაუტკანო. საზოგადოების მომხრობისა, თანაგრძნობის სურვილი ისე გაიტაცებდა ხოლმე, რომ ცდარობდა იმისი ცოლი შემუმჩნეველი დარზენილიყო და ტაში, ეს უმალღესი ჯილდო სცენაზე მოღვაწეთათვის, თვითონ დემსახურებინა. ძალი არა ჯავრობდა, ისე ძრეულ უყვარდა თავისი ქმარი. აგრეც უნდა ყოფილიყო: ვინც გამარჯვებულა, ის დიდ სულოვანი და შემწყნარებელიც არის. შოველს სალამოს საზოგადოება აღტაცებთ მოისმენდა ხოლმე იმის სიმღერას და, თუმცა ქალს არც კი უნდოდა თავი გამოეჩინა, საზოგადოება მაინც წინ წამოაყენებდა ხოლმე და აქებდა და აღიდებდა. მკით მალე მიხვდნენ ამხანაგებიც რა დამოკიდებულება იყო ცოლ-ქმარ შორის და აჯავრებდნენ ქმარს. პირში უქებდნენ ცოლს და ამით უფრო უჭრებდნენ საქმეს. ხმარად მიუტანდნენ ხოლმე გაზეთს და უკითხავდნენ რეცენზიას, საცა კრიტიკოსი ოთხ დიდ სვეტზე სულ არტისტის ცოლს, ამ ამომავალის მზის, ქებას ღაპარაკობდა და მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ეწერა უკვე გამქრალის ნიჭის პატრონზე, არტისტ-ქალის ქმარზედ. მართხელ, წაიკითხა თუ არა ქმარმა ერთი ამ ნაირი რეცენზია, შევიდა თავის ცოლის ლოჯიაში გამწყრალი და განრისხებული, ხელში გაშლილი გაზეთი ეჭირა და სახეზე აღმუხრი ასდიოდა სიბრაზითა:

„ამის დამწერიო“, უთხრა შურით გონება-დაბნეულმა, „უთუოდ შენი საყვარელი ყოფილაო?..“ აი ესე გაკადნიერდა ქმარი და დაივიწყა ზრდილობა და თავაზი. საცოდავი ქალი, რამელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ყველა, რომელსაც შურით შეჰყურებდენ, ვისი სახელიც დიდის ასაებით იწერებოდა აფრებზედ და გამოჩინის საგნა-

დაც-კი გაეზადნათ დალაღებს, რომელნიც მის გან-
თქმულ სახელს სასტუმროსა და საკანდიტროს ეტიკეტებზედ
ჰბეჭდადენენ, მეტად გულ-საკლავად და საცოდავით ატარებ-
და თავის სიცოცხლეს. მერც-კი ჰბეჭდადა წაეკითხა ნომერი
იმ გაზეთისა, საცა მისი ქება ეწერა; მდულარებას აბნედა იმ
ურიცხვ თაიგულებზედ, რომლითაც აივსებოდა ხოლმე იმისი
ლოჯა და იქვე ჰსტოვებდა დასაქცობად, რადგან ეშინოდა,
სახლში რამ წავიღო, ვაი თუ მაგ ყვავილებმა კვლავ მოაგო-
ნონ ჩემს ქმარს დღენი ჩემის გამარჯვებისა, დიდებისა და
უარესად გამომწარდეს სიცოცხლეო. შინადა დაენებებინა
თავი თეატრისთვის, მაგრამ არც ამის ნებას აძლევდა ქმარი:
„იტყვიან, რომ ვითომ მე დაგანებებინე თავი სცენის-
ვისაო.“

და აი საშინელს წამებას ცოლ-ქმარსას არ ეღებოდა ბო-
ლო, არ ეძლეოდა დასაარული.

მრთხელ საღამოს, წარმოდგენის დროს, როცა მომღე-
ლი ქალი ის-ის იყო უნდა გამოსულიყო სცენაზე, ვიღამაც
წასჩურჩულა: დასტვენას გიპირობენ ამაღამ თეატრში,
გაფთხილდიო. ძალს ღიმილი მოუვიდა. „დასტვენას მიპი-
რობენ და მერე რისთვის, ღმერთო ჩემო!.. თანაგრძობის
მეტე არა მინახავს რა და არა მსმენია რა, კირსავით მოშო-
რებული ვიყავ ყოველ გვარ უსიამოვნებასაო.“ ასეც იყო
წამდელიად. აი პიესა ნახევრობამდე გათავდა; ქალი თავის
ქმართან ერთად ამბობდა ორხმად სათქმელს, სწორედ მაშინ,
როცა იმისი ლალი ხმა ამაყად ამაღლდა, ზარივით დაიწყო
კრიალი და ის იყო ნახად დაბლდებოდა, რომ მარგალიტი-
ვით ბრწყინვალედ გაღმოფანტულიყო, მოისმა საშინელი
სტვენა, შიშინი და გააწყვეტინა მღერა. სათე ტრო დარბაზი-
ცა და მომღერალი ქალიც მეტად გააოცა ამ ამბავმა. სულ-
თქმა და გულის-ცემა მაყურებელ საზოგადოებისა ისევე შეს-
წდა და შეგუბდა, როგორც ის ხმები, რომელიც დაუთავებე-
ლი დარჩა არტისტ-ქალსა. და აი ელდა ავით სწრაფმა, საში-
ნელმა და უგუნურმა აზრმა გაუელდა თავში... იგი დარჩა
მარტოდ-მარტო სცენაზედ და თავის ქმარს გარდა თავის წინ

არავისა ჰხედავდა. ძალმა შეხედა თავის ქმარსა და ბოროტი ღიმილი შეამჩნია სახეზედ. საცოდავ ქალს თვალები აეხილა, ცრემლები მოებჯინა ყელში. თავი ველარშეიმაგრა, მდულარება გადმოსცვიედა თვალებიდამ და გონება დაკარგული გავარდა კულისებში.

თურმე ქმრის შურის ძიება იყო მიზეზი, რომ ეს ამბავი ასე მოხდა.

ა. ფრონელი.

* * *

ღაიღრუბლა ცამ და სულ ბნელა,
 ზხა ველარ გაგვიკვლეგია,
 სიცივისაგან ეკანკალებთ,
 ხელი ვერ გაგვინძრეგია.

წყლები აღიღდა აიმღერა,
 ლელეები და ხეგია,
 ნიაღერისაგან გზა წახდა,
 მისახვევ მოსახვეგია.

ზაფხულს ველოდით გვეგონა,
 ზაფლიეთ ცივი ზამთარი,
 აწ შეიმოსვის ბუნება
 მითი ექმნებით დამტკბარი.

შინვისგან შეშინებულსა,
 ბული გვექმნება გამთბარი,
 ბუნების მშვენიერებით,
 სევდა იქმნება გამქრალი.

მაგრამ კი არა, სულ ბნელა,
 ძარი გლეჯს ხეებს ძირიან,
 ძედლებსა გააქვს ზანზარი,
 შიგ ყმაწვილები სტირიან.

სუცხლი სულ გაქრა ბუნარში,
დაჰკრის ზედ ქარი ძრიელი,
თონეში წყალი ჩავიდა
ბავშვები დარჩნენ მშიერი.

გნ. ნინო ორბელიანისა.

9 მაისი.

მართული თეატრი

ციმბირელი, პიესა 4 მოქმედებად აკვ. ცაგარლისა.

ასალი რამ ნაწერი ჩვენს სიტუვა-გაზმულს მწერლობაში იშვი-
ათი ამბავია. სათეატრო მწერლობაში სომ უფრო იშვიათია. ხან-
და-ხან მთელი სათეატრო სეზონი ისე გაივლის სოლმე, რომ არც
ერთი ასალი პიესა არსაიღამ არ გაჩნდეს. ამ ბოლოს დროს უფ-
რო მოუსაყელი და გვაღვიანი წელიწადები გამოვიარეთ ამ
მხრივ. ჩვენის ცსკრებიდამ სომ არა იყო რა: არ იყო არც
ერთი თვალ-საჩინო ნაწერი და დრამატული ქმნილება, არც ერთმა
რიგანმა თარგმანმა-ც არ მიიქცია უურადლება საზოგადოებისა
და არ გაამდიდრა ჩვენი დარბი სათეატრო ბიბლიოთეკა. თუ
შექსპირის ორს პიესას არ მივიღებთ მსედველობაში, იმ ორს პიე-
სასა, რომელიც ამ ხანებში გადაითარგმნა, უნდა დამეთანხმეთ,
რომ თარგმნილი სათეატრო მწერლობაც ამ უკანასკნელის დროისა,
ვერადერთ ვერ მოიწონებს თავს ჩვენში.

აი სწორედ ასეთს ფშატის ევაკილობისა და ვარდ-გაჭკობის
დროს, როცა თითქმის სიტუვას გადაუვლია სათეატრო მწერლობა-
ზე და გაუნადგურებია იჭაურობაო, გაჩნდა ასალი ნაწერი, ასალი
სიტუვა-გაზმული ქმნილება. რასაკვირველია, ეს ამბავი ეველასა-
თვის სასიამოვნო და სასიხარულო უნდა უოფილიყო. ჩვენც დიდის
სიამოვნებით წავედით თეატრში 17 მაისს ამ ასალის პიესის სა-
ნახავად; მით უფრო დიდის სიამოვნებით წავედით, რომ ასალი
პიესა დაწერილი იყო ახალგაზდა დრამატურგის მიერ, რომელმაც
შესძლენა ჩვენს სტენას რამდენიმე ფრად ცოცხალი კომედია, სა-

კმაო ნიჭით და სსსტენო სელოვნების ცოდნით დაწერილი. საბუ-
თი არა გვეჩინდა გვეუფიქრა, რომ ახალი პიესა უფრო მეტის ნი-
ჭით არ იქნებოდა დაწერილი, რომ ახალგაზრდა დრამატურგი მეტს
გამოცდილებას, მეტს ცოდნას არ გამოიჩინდა და არ დაამტკიცებ-
და, რომ ამ სამს-ოთსს წელიწადში იმის ნიჭს უფრო უმატნა,
გაზრდილა.

მივედით თეატრში, მოვისმინეთ პირველი მოქმედება. ვამბობთ
მოვისმინეთ პირველი მოქმედებამ, იმიტომ რომ არტისტები უფ-
რო ლაზარაკობდნენ რაღაც თამასუქებსა და სიყალბეს, ვიდრე თამა-
შობდნენ. მაგრამ პირველი მოქმედება არაფერი. პირველი მოქმედება
ხომ მხოლოდ შესავალია; ამ შესავალში ძნასკება ბოლოში გასა-
სსნელი ნასკვი. აქ ვიგებთ, რა ნიადაგზე გადმოვება შემდეგ მო-
ქმედება და რა საგანს ცხოვრებისას მიაქცია მთავარი უფრადლება
აკტორმა-დრამატურგმა.

გათავდა მეორე მოქმედებაც და ისეთის სტენითაც გათავდა,
რომ გული მსუფრებელთა ძლიერად შეანძრია და შეატაკა. არა
ერთს და რის გადმოუვარდა ცრემლი ამ სტენის დანახვით. მაგ-
რამ ეს ცრემლი უფრო ტანჯულის ციმბირელის ნახვამ გამოიწვია
და იმ შესანიშნავად წარმოდგენილმა წუთმა, როცა ც-და-სუთის
წლით ციმბირში დავარჯულს კაცს სცნობს მისი ცოლი და შვილი
და სამნივე ერთმანეთს ესუვიან, ჰკონანს, ალექსებულნი მეტის
სინარულითა და სიამოვნებითა.

მესამე მოქმედებამ მთელი საზოგადოება ალტაცებაში მოიყუ-
ნა და გათავდა ფრიად საეფექტო სტენით. მეოთხე და უკანასკნელ-
მა მოქმედებამ დაასუსტა პიესაც და ის ძლიერი შთაბეჭდილებაზე,
რომელიც მეორე მოქმედებიდამ დაიწყო და მესამე მოქმედებაში
ისეთის ძლიერებით ჩანს მსუფრებელს გულსა და გონებაში.

მაგრამ სჯობს მოგითხროთ თვით შინაარსი პიესისა: ვიღაც
მ სუთიანი, ობოლ-ობური ტიგრანი, იზონის მფარველს და გულ-
შემატკივარს კაცს, უსტაბამ ოვანეს, კაცს პატროსანს, შეძლებულს
და დიდად პატრიცემულს. უსტაბამ ოვანე გაზრდის შვილივით მა-
სუთიანს და ბოლოს კაცად გამოიყვანს. ობოლთა, ვის უგებნო და
ვინც გამზარდაო. ტიგრან მასუთიანიც ბოლოს ასე იქცევა. სიმთვრ-
ლეში ეალბ ფულს ჩაუდებს ჯიბე-სუბში უსტაბამ ოვანეს და ამ

მატიონებით საესე გაცს ციმბირში უკვერენ თავსა. მასუთანი-კი ნელ-ნელა დაემატონება უსტა-იოანეს მალაზიებს, ართმეკს იოანეს ცოლ-შვილს სასლსა, ქანებას და ბოლღს თითქმის ლუკმა შურსაც-კი უწყობს ყაღბის თამასუქებითა. ამასობაში იოანეს შვილს ნიკოლას შეუკვარდა მასუთიანის ქალი, რომელსაც გადაიქცაბული მამა, ბ. ტრიფონ ბაღდანინი, კარგის სასიძოვსათვის ამზადებს და ნიკოლას კი, თავის ონიებითვე გადარიბებულს და გაუბედურებულს, სასლიდამ ითხოვს და აგდება.

ამ დროს განხდება ციმბირიდან უსტაბაში იოვანე, უკვე მოსუტებაში შესული და ათასის გაჭირებია დატანჯული, იცებს ყოველს ონიებს და შირში ხმას უწყვეტავს თავის ხელში გაზრდილს მასუთიანს. მასუთიანი ამ ხანად ჩოთქით ხელში ანგარიშობს საერთო ქანებას, ეუბნება ნიკოლასს და სტეფან მკაცრიხს, ნიკოლასს სიძეს, რომ აღარა გერგებოთ-რა მალაზიებიაძაო. ციმბირელი იოანე ტუსადის ტანისამოსით შედის მასუთიანთან მდიდრულად მოართულს სასლში იმ დროს, როცა ეს უნამუსო და ხარბი კაცი ანგარიშობს ქანებას. ციმბირელი უამბობს მასუთიანს თავის თავ-გადასავალს. იოვანე ეუბნება: ერთხელ მეც მდიდარი ვიყავი, ბიჭები მეც თავს მკნებია და დავაძასებდი თუ არა: აბიჭო ტიგრან-ნაი, ჩემი ბრძანება მაშინვე უნდა შესრულდებოდაო. ეს სიტყვები ციმბირელმა (ბ-ნი გ. ყიფიანი) ისეთის მოხერხებით და ძლიერებით წარმოესტქვა, რომ მასუთიანი მისვდა, კინც ინდგა მის წინა, შიშის ზარი დაეჭა, ჩოთქი გაეარდა ხელიდამ და გაშეშებული იდგა ერთს ადგილას (ივ. ჩაგარელი). ეს სიტყვა ფრთხილ დრომმართული სიტყვაა, ძლიერად მოქმედებს საზოგადოებაზე და ორიოდე სხვა სიტყვასთან ერთად (არშიყობა მასუთიანის მოასლე გოგოსი, ადვოკატის ქლესოვისა და კაკაკელის პეტრესი) შეუდარებელი სიტყვებია და ძვარუთასი მარგალიტებით ბრწყინავს მთელს პიესაში.

მასუთიანი თავის ყაღბის ვექსილებით დიდს გაჭირებამა, ესკეწება ციმბირელს, მამატივე დანამაული, ჩემი ქალი შერთე შენს შვილსა და ველს ნუ გამომჭრი ცოლ-შვილითაო. ციმბირელი ჭერ დიდს უარსკა, მერე დაჭევება თავის სახლობის თხოვნასა, ამ მასუთიანისგან გატანჯულს ხალხასას, და პიესა სყოველთაო სამშვიდობოდა და საერთო სახედნიეროდა თავდება.

როგორც ჰსუდავს მეითხველი, ზიესის შინაარსი მდიდარია სასტრუქო მასალითა. მარტო ის რაღა ჰქონს დრამატურგისათვის, რომ ნიკოლას უეკარს თავისი და თავის დედ-მამის დამღუპველი და გამაუბედურებელის მარტოიანის ქალი. მაგრამ სამწუხაროდ, დიდს სადრამო მასალას ვერ მოჭრევა, ვერ გასძლელია აკტორი, რომლის ცხოველი ნიჭი, გონება მსწილობა, დაკვირვების უნარი დახარკველა მხოლოდ მრავლის წერილმანების დახატვასე. ეს წერილმანები ვერ დაუჭვემდებარებია, ვერ დაუშორწილებია ერთის უმთავრესის დედა-მარტვისათვის. საერთო და ძლიერის ზედ-მოქმედების საწარმოელად მაყურებლებსე მარტო ის იანგარიშეთ, რომ უკეთესი როლები ზიესისა იმითა, ვინაც თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ ზიესაში და უფრო მეორე სარისხოვან ზერსონა-ეუბად უნდა ჩაითვალნენ, როგორც მაგალითად როლი ბეტუსა (თვით აკტორი), მარტოიანის მოასლე მარტოსი (საფაროვისა). უმთავრესი როლები-კი: ჩიშირელისა, მარტოიანისა, ნიკოლასი, მარტოიანის ქალისა ფრინად მერთალად არის დახატული. მეორესე მოქმედებაში ისეთის სისწრაფით მიდის მოქმედება, რომ კაცი თვალს ველარ ასწროებს. საზოგადოდ, ზიესაში არც ერთი სადრამო მდგომარეობა, არც ერთი კოლლიზია არ არის კეროვანის სისრულით ახსნილი, დასაბუთებული, გაზრდილი იმ ზომამდე, რა ზომამდისაც ითხოვს ბუნება საქმისა, ბადე ზიესისა. ამის გამო ზიესა უფრო სამოზაიკო სამკაულსა ჰგავს, კალეიდოსკოპსა, რომელშიაც თვალს გიჭრელებს სათითოდ რამდენიმე მშვენიერის ფერისა და ღირსების ბერიფასი ქვა, პატროსანი თვალს და მარტალიტი, მაგრამ საერთოდ-კი არა ჰგავს კეკლუტად აკებულს ქმნილებას, სასეს სისრულით, საერთო მშვენიერებით; არა ჰგავს ნაყოფს, მოფიქრებულს და მოსაზრებულს, გულთან დიდხანს ნადებსა, გრძნობით გამთბარს და შემოქმედობით გაბრწყინებულს.

მანც მიველოცავთ აკტორს, რომ ამ ზიესაში თითო-ორელა ისეთი მარტალიტი იპოვება, რომელიც თვით დიდის ნიჭით მიმადლებელისათვისაც-კი სასახლო და თავ-მოასწონებელი უნდა იყოს. ეს გარემოება ნიშნია ბ-ნ ცაგარლის ნიჭის წარმატების-იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი აქვს. ცაგარელი მალე ისეთს ქმნილებასაც აწუქებს ჩვენს სცენას, რომელსაც უფრო მეტი მადლი, მეტი სილამაზე, დაეტეობა.

ზასართობი.

(მოღის შესახებ).

ერთი მხრით მოდა ჭგავს ქალსა—ის ისეთივე უფლების მო-
უვარება, როგორც ქალი; მაგრამ მეორე მხრით არც-გი ჭგავს:

— ქალი ემორჩილება გემოვნებას, მოდა კი თვითონ იმორ-
ჩილებს გემოვნებას.

* * *

მოდა ჭგავს მოთამაშე ქალს—ის ხანდის-ხან ისეთ ნაბიჯებს
ადგამს, რომ თითქმის შეუმჩნევლად გადის სტენიდან.

* * *

ერთი მხრით მოდა ჭგავს ნიჭიერს პოეტებს—ის ისეთივე
მდიდარია ფანტაზიით, როგორც პოეტები, მაგრამ მეორე მხრით
არც-გი ჭგავს:—პოეტები უგებლანია არიან, მოდა კი ძალიან ცოტა
ხანსა სტრესსდობს.

* * *

მოდა—მტარვალაია, მაგრამ არაუინ უჯანუდება კი. ამის მი-
ზენი ის არის, რომ მის მიუღობელობის ქვეშ არიან ქალები და,
ისინი კი შეჩვეულნი არიან „კორსეტების“ მოჭერას და ჯანჯვების
(ოქროს) ტარებას.

იანონელების აზრი ხელოვნებაზე. სასულ-განთქმული კომ-
პოზიტორი სიუღლივანი, მუსიკის დამწერი „მიკაძო“-სათვის,
გაანქეს იანონის ელჩს ღონდონში. დიპლომატი ძალიან გულ-გრი-
ლად მოქება სიუღლივანს, უთხრა: „ეველა ჩვენგანი ძალიან გაჯა-
რებულაია თქვენზე და „მიკაძო“-ს ღიბრეტოს დამწერზე, ამის-
თვის, რომ იანონელები და მათი ჩვეულებანი სასტილად აგი-
გდათ; თუ როდისმე შესვლით ფანტაიკოს იანონელს, შეიძლება
უბედურებას რამეს შეემთხვათ.“

სიუჟეტი ძალან შეერთა ამ სიტუაციის გაგანებაზე, მაგრამ ისევე ჩქარა მოვიდა გონს და დიდილით უზასუსა: „ყოველი ერთი უნდა შეჩვიოს თავის უგვანო ჩვეულებებს დატინვას; იაშინაივ მაქვეყა.“

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

ქართული თეატრი

ზარასკეცს, ვივნიისს,

შანახანელი გამოსოფლის ბანუისი

მ. მ. ლეონიძისა

ქართული დრამატ. დასისგან წარმოდგენილი იქნება:

I

ცოლი შეუღლე

მ მოქმედებიანი დრამა ალექ. მოჩხუბარიძისა.

მართა ბეძერულაძის როლს ასრულებს მობანუისი.

II

დივერტისმენტი

III

ლექსი

მონაწილეობას მიიღებენ: მ-ნი ნ. ბაბუნია-სავარლისა და ანდრონიკოვისა. ბ-ნი აბაშიძე, მოხევე, ძაველი, მაქსიმიძე და სხვანი.

ანტრატუბუში დაუკრავს საზანდარი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათ.

კამათორი და გამოსცემელი. ალ. ნიკიფრიძე.